სამოქალაქო ინიციატივების ასოციაცია

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.

კვლევა მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ინიციატივების ასოციაციის“ მიერ პროექტის „მრავალფეროვნება - ჩვენი სიძლიერე“ ფარგლებში სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდისა და ფინეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით

ახალგაზრდების მიერ დანახული პრობლემები ახალციხისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტში

კვლევის ანგარიში

2014 წელი

ახალგაზრდების მიერ დანახული პრობლემები
ახალციხე-ახალქალაქი, 2014 წ.

კვლევა მომზადებულია „სამოქალაქო ინიციატივების ასოციაციის" მიერ
პროექტის „მრავალფეროვნება - ჩვენი სიძლიერის" ფარგლებში

სარჩევი

1. შესავალი 2
2. მეთოდოლოგია 2
3. დემოგრაფია 2
4. განათლება 5
5. ეკონომიკური მდგომარეობა 6
6. საქმიანობა 8
   6.1. თავისუფალი დრო 8
   6.2. ჯანმრთელობა და ჯანსაღი ცხოვრების სტილი 9
7. დასაქმება 11
8. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა 13
9. რა აწუხებთ ახალგაზრდებს 15

1. შესავალი

2014 წლის იანვარში ჩატარდა კვლევა ახალგაზრდების მიერ დანახული პრობლემების შესახებ, პროექტის „მრავალფეროვნება-ჩვენი სიძლიერე" ფარგლებში, პროექტი ახორციელებს „სამოქალაქო ინიციატივების ასოციაცია" საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდისა და ფინეთის მთავრობის მხარდაჭერით.

კვლევის მიზანი იყო ახალციხისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების პრობლემების კვლევა, არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ მათი ხედვის გამოვლენა.

2. მეთოდოლოგია

კვლევა ჩატარდა პროექტის მონაწილე ახალგაზრდების მიერ. კვლევაში მათი ჩართვის მიზანი იყო მათთვის კვლევისათვის საჭირო უნარების ჩამოყალიბება, საერთო სურათის დანახვისა და ანალიზის უნარ-ჩვევების განვითარება.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ახალციხისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები 18-29 წლამდე ახალგაზრდები. სულ გამოიკითხა 130 რესპოდენტი, აქედან 60 ახალგაზრდა ახალქალაქში (ახალქალაქი, დილისკა და 70-ახალციხეში (ახალციხე, მუგარეთი, კლდე, ჭაჭარაქი, ვალე, სხვილისი). რესპონდენტები შეირჩა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. გამოკითხვა ჩატარდა როგორც ქალაქებში, ისე - სოფლად.

კვლევისათვის გამოყენებული იქნა კითხვარი, რომელიც შედგებოდა დახურული და ღია კითხვებისაგან.

3. დემოგრაფია

გამოკითხულთა შორის იყო როგორც ქართველი ისე სომეხი ეროვნების წარმომადგენლები ახალციხესა და ახალქალაში. ახალციხეში გამოიკითხა 58 ქართველი და 12 სომეხი ახალგაზრდა. ახალქალაქში კი - 9 ქართველი და 51 სომეხი ახალგაზრდა.

რესპოდენტების ასაკის მიხედვით დაიყო 3 ძირითად ჯგუფად -ა. 18-22 ; ბ. 23-25; გ. 26-29, აქედან 18-22 წლის რესპოდენტებმა ახალციხეში წარმოადგინა - 59%, ხოლო ახალქალაქში 54%. 23-25 წლამდე ორივე მუნიციპალიტეტის რესპოდენტთა 25%-ი იყო. 26-29 წლამდე რესპომდენტების რაოდენობამ შეადგინა ახალციხეში 16%, ხოლო ახალქალაქში - 21%.

ახალციხე, ასაკობრივი ჯგუფი



ახალქალაქი, ასაკობრივი ჯგუფი



გამოკითხულთაგან სქესის მიხედვით რაოდენობრივი მაჩვენებელი იყო შემდეგი

	ახალციხე	ახალქალაქი
მდედრობითი	41	26
მამრობითი	29	34

გამოკითხულთაგან როგორც ახალციხეში, ისე ახალქალაქში დაოჯახებულია 15 რესპოდენტი.

ახალციხე



ახალქალაქი



დაოჯახებული ახალგაზრდების რაოდენობა ასაკის მიხედვით
ახალციხე

ახალციხე



ახალქალაქი



გამოკითხულთა ოჯახის წევრების საშუალო რაოდენობას წარმოადგენდა ძირითადად 3-4 და 5 და მეტ წევრიან ოჯახებს.

	ახალციხე	ახალქალაქი
2 ან ნაკლები;	4	3
2. 3-4	44	22
3. 5 ან მეტი	20	39

გამოკითხული ახალგაზრდებიდან შვილი არ ჰყავს უმეტესობას, თუმცა შვილების რაოდენობა ნაწილდება შემდეგნაირად

	ახალქალაქი	ახალციხე
არ ყავს	46	53
1	4	9
2	7	5
3	1	1
4 ან მეტი	2	0

<u>დასკვნები</u>

•_საკმაოდ მაღალია დასაოჯახებელ ახალგაზრდათა რაოდენობა
• დაოჯახებულთა უმრავლესობა ახალციხესი მოხვდა 23-25 წლამდე, ხოლო ახალქალაქში ამ ასაკს წარმოადგენს 26-29 წელი
•ახალციხესა და ახალქალაქში ოჯახების წევრების საშუალო რაოდენობას წარმოადგენს 4-5 წევრიანი ოჯახები
•გამოკითხულთა უმეტესობას შვილი არ ყავს
• შვილიანთა უმეტესობას 1-2 შვილი ყავს, მხოლოდ ახალქალაქის შემთხვევაში შეგხვდა 4-ზე მეტ შვილიანი ახალგაზრდა.

4. განათლება

ახალციხის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა უმრავლესობას წარმოადგენდნენ სტუდენტებს, გამოკითხულთა მცირე რაოდენობას (5%) არასრული საშუალო განათლება აქვს და 18% კი - მხოლოდ საშუალო განათლებითაა. 8% პროფესიული განათლება აქვს მიღებული და 13% უკვე დასრულებული აქვს უმაღლესი განათლების მიღება.

ახალციხის რესპოდენტების განათლების დონის მაჩვენებელი



ახალქალაქის რესპოდენტთა უმეტესობას, 19 ახალგაზრდას საშუალო განათლება ჰქონდა, აქედან 17 სტუდენტი იყო, 8 არასრული საშუალო განათლებით გახლდათ, მაშინ, როდესაც მხოლოდ 2 იყო პროფესიული ტექნიკური განათლებით.

ახალქალაქის რესპოდენტთა განათლების მაჩვენებელი



კვლევა შეეხო ახალგაზრდების ენობრივ კომპეტენციებსაც, აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდები ფლობენ შემდეგ ენებს:

	ახალციხე	ახალქალაქი
ინგლისური	33	1
რუსული	36	28
გერმანული	4	1
ქართული	66	22
სომხური	16	56
სხვა		4





<u>დასკვნები</u>

• ახალგაზრდათა შორის უმეტესობა სტუდენტია, რაც ბუნებრივია ამ ასაკისათვის
• ახალქალაქში უფრო მაღალია მხოლოდ საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდათა რიცხვი
• გამოკითხულთა შორის მხოლოდ საშუალო განათლების მქონეთაგან უფრო მეტი მამაკაცია, ვიდრე ქალი ახალქალაქში.
• არასრული საშუალო განათლების მქონეთაგან უმეტესობა არის ქალი, მათ შორის რამდენიმე დაოჯახებული როგორც ახალციხეში, ისე ახალქალაში
• პროფესიული/ტექნიკური განათლებასაც ძირითადად ქალები იღებენ
•ახლგაზრდები უმეტესობა ფლობს მინიმუმ 2 ენას
•მაღალია რუსული ენის ცოდნის მაჩვენებელი. რუსულს თითქმის თანაბრად ფლობენ როგორც ახალციხელი (23%), ისე ახალქალაქელი (26%) ახალგაზრდები
• რაც შეეხება ინგლისურ ენას, საკმაოდ მაღალია (21%) მის მცოდნეთა რაოდენობა ახალციხეში, განსხვავებით ახალქალაქისაგან სადაც ის 1% შეადგენს,
•სხვა უცხო ენები წარმოდგენილია მცირე რაოდენობით (1-2 %)

5. ეკონომიკური მდგომარეობა

გამოკითხვის დროს მოხდა ახალგაზრდების მიერ მათი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება.

ახალციხეში ოჯახების შემოსავლის ძირითად წყაროდ დასახელდა

	ახალციხე	ახალქალაქი
ხელფასი	45	15
პირადი მეურნეობა	21	45
პენსია	12	6
ქონება	2	2

მათ მიერ, საკუთარი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა შეფასდა, როგორც

	ახალციხე	ახალქალაქი
მძიმე	6	4
საშუალო	47	40
საშუალოზე მაღალი	14	11
კარგი	2	5

კვლევის ფარგლებში შევეცადეთ დაგვედგინა მათი ოჯახების სოც.-ეკონომიკური მდგომარეობის გამომწვევი შიდა და გარე ფაქტორები. მათ არსებული მდგომარეობის მიზეზად დაასახელეს:

	ახალციხე	ახალქალაქი
უმუშევრობა	17	8
დაბალი შემოსავალი	29	23
სამუშაო კვალფიკაციის არქონა	5	2
ცუდი საცხოვრებელი პირობები	6	9
ოჯახის წევრის ავადმყოფობა	4	2

ამას გარდა, შევეცადეთ დაგვედგინა, თუ შეიცვალა მათი მდგომარეობა ბოლო 3 წლის განმავლობაში, რაზეც მივიღეთ შემდეგი პასუხი

	ახალციხე	ახალქალაქი
გაუარესდა	11	4
გაუმჯობესება	16	6
არ შეცვლილა	41	49

შევეცადეთ ამ ცვლილებების მიზეზის დადგებას. კერძოდ, რამ გამოიწვია მდგომარეობის გაუარესება და პასუხად მივიღეთ:





რამ გამოიწვია მდგომარეობის გაუმჯობესება, მათთვის ვინც თვლის, რომ მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა

	ახალციხე	ახალქალაქი
სახელმწიფო (მთავრობის) დახმარების პროგრამები	6	4
ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის პროგრამები	2	0
ოჯახის წევრის დასაქმება	8	0

<u>დასკვნები:</u>

•კვლევამ აჩვენა, რომ ახალციხელი რესპონდენტების შემოსავალი პირდაპირ დამოკიდებულია მათ განათლებასა/კვალიფიკაციაზე, რაც აისახება_მათი შემოსავლის ძირითად წყაროზე. კონკრეტულად კი ახალციხელი რესპონდენტების ძირითდ წყაროს წარმოადგენს ხელფასი.
•შესაბამისად, ამიტომ წარმოადგენს ახალციხელ ახალგაზრდათა პრიორიტეტს დასაქმება და კვალიფიკაციის ამაღლება, მაშინ, როდესაც, ახალქალაქელი ახალგაზრდები დასაქმებისა და განათლების პრობლემის გვერდით სოფლის მეურნეობის განუვითარებლობაზეც საუბრობენ.
• ამის მიზეზია ის, რომ ახალქალაქელი ახალგაზრდები შემოსავლის ძირითადი წყაროა პირად მეურნეობა/სოფლის მეურნეობას ასახელებენ.
• ლოგიკურად ებმის ზემოთ მოყვანილ საკითხებს ისიც, რომ მათი ცუდი ეკონომიკური მდგომარეობის გამომწვევ ფაქტორად ახალციხელების უმეტესობა ბანკის/მსო -ს გან აღებულ სესხს ასახელებენ, ხოლო ახალქალაქელი რესპონდენტები ბუნებრივ კატასტროფებს
• რესპოდენტთა უმრავლესობა საკუთარ ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებს, როგორც „საშუალო"
• რესპონდენტთა ის ნაწილი, რომელიც მიიჩნევს, რომ საშუალოზე კარგად და კარგად ცხოვრობს, მათ აქვთ უმაღლესი განათლება და დასაქმებულნი არიან. მიზეზი, რითაც ისინი თავის კარგ ეკონომიკურ მდგომარეობას ხსნიან ხელფასის მატებაა.
• ახალგაზრდების აბსოლიტური უმრავლესობა ახალქალაქში(49 ადამიანი) თვლის, რომ არ შეცვლილა მისი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა ბოლო სამი წლის მანძილზე, ახალციხეში ასეთი რესპოდენტთა რაოდენობაა 41.
• ახალციხეში იმ რესპონდენთა რაოდენობა მეტია ვინც თვლის, რომ გაუმჯობსდა მისი მდგომარეობა ვიდრე ახალქალაქში, თუმცა მათი რაოდენობაც ჭარბობს ახალქალაქში გამოკითხულების რაოდენობას, ვინც თვლის, რომ გაუარესდა.

6. საქმიანობა

კვლევის ფარგლებში მოხდა ახალგაზრდების საქმიანობის სფეროს განსაზღვრა. ახალგაზრდების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს

6.1. თავისუფალი დრო

თავისუფალ დროს ახალგაზრდების ინტერესის სფეროს განსაზღვრაც. ახალციხეში
ახალგაზრდები თავის დროს საშუალოდ რომელ საქმიანობას უთმობენ შეფასდა 5 ბალიანი შკალით, ჩამოთვლილი აქტივობებიდან (კითხვა, უნივ. არსებულ წრეებზე სიარული, თანატოლებთან დროის გატარება, ინტერნეტი, ტელევიზორი, საოჯახო საქმიანობა, სპორტი და აზარტული თამაშები), ყველაზე მეტ დროს უთმობენ ინტერნეტს (ახალციხეში საშუალოდ 3.6 ქულა, ახალქალაქი საშუალოდ- 3.4), ყველაზე ნაკლებს აზარტულ თამაშებს -1.6 ქულა ახალციხეში და სპორტს 1.6- ახალქალაქში.

ახალციხე



ახალქალაქი



6.2. ჯანმრთელობა და ჯანსაღი ცხოვრების სტილი

კვლევის ფარგლებში ასევე მოხდა იმის გამოკვლევაც, რამდენად ჯანსაღი ცხოვრების სტილი აქვთ და ზოგადად რა ცოდნა არსებობს საზოგადოებრივი ჯან.დაცვის სერვისების შესახებ ახალგაზრდებს შორის.

თავდაპირველად გავარკვიეთ რამდენად შეიცვალა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ბოლო წლის განმავლობაში წინა წელთან შედარებით, ზოგადი სურათი გამოიყურება შემდეგნაირად:

	ახალციხე	ახალქალაქი
გაუარსედა	10	1
არ შეიცვალა	46	43
გაუმჯობესდა	1	0
არ ვიცი	10	12
უარი პასუხზე	1	4

შემდეგი კითხვა შეეხო რამდენად ისარგებლეს მათ უფასო სამედიცინო მომსახურეობით ბოლო 6 თვის განმავლობაში, აღმოჩნდა, რომ გამოკითხული ახალციხელი ახალგაზრდებიდან 12-მა ისარგებლა უფასო მომსახურებით, 54 კი -არა. ახალქალაქის რესპოდენტებიდან ისარგებლა - 1 და არ ისარგებლა - 46

კვლევის ფარგლებში გამოკვლეული იქნა იცოდნენ თუ არა ახალგაზრდებმა ვის უნდა მიმართონ უფასო დახმარებისათვის, პასუხები ასე გადანაწილდა

	ახალციხე	ახალქალაქი
კი	32	1
არა	31	46
არ ვიცი	6	6

გამოკითხული ახალგაზრდებიდან ახალციხეში მწეველია 18, სიგარეტს არ ეწევა 52, ახალქალაქელი რესპონდენტებიდან ეწევა-20, არ ეწევა-39; ახალქალაქის რესპოდენტებიდან მწეველების უმეტესობა კაცია, მხოლოდ 2-ია ქალი ახალციხესა და ახალქალაქში.

მოწევის სიხშირე კი შემდეგნაირია:



რაც შეეხება ალკოჰოლის მიღების სიხშირეს, გამოკითხული რესპონდენტებიდან ალკოჰოლს იღებს

	ახალციხე	ახალქალაქი
იშვიათად	28	12
არც ისე ხშირად	13	8
ხშირად	7	6
საერთოდ არა ვსვამ	20	32

კითხვაზე, რა დროს უთმობთ სპორტს, პასუხები ასეთია



<u>დასკვნები</u>

•ახალგაზრდები თავისუფალ დროს ყველაზე დიდ დროს უთმობენ ინტერნეტს ახალციხესა და ახალქალაქში
• ყველაზე ცოტა დროს სპორტს და აზარტულ თამაშებს
•კითხვაზე რამდენ დროს უთმობთ სპორტს, გამოკითხულთა თითქმის 80 % პასუხობს, რომ არ უტმობს დროს მას საერთოდ. მხოლოდ 1% უთმობს დროს კვირაში 4 დღეზე მეტს.
•ახალგაზრდები საოჯახო საქმიანობაში აქტიურად არიან ჩართულები ორივე მუნიციპალიტეტში
•ჯანმრთელობის მდგომარეობა ბოლო წლის განმავლობაში ძირითადად არ შეცვლილა
• ახალგაზრდების ნახევარმა არ იცის ვის უნდა მიმართოს უფასო სამედიცინო დახმარებისათვის, ახალციხეში, მაშინ, როდესაც ახალქალაქის რესპოდენტთა თითქმის 99% -ს არ აქვს ეს ინფორმაცია.
• მწეველების რაოდენობა საკმაოდ მაღალია, ეწევა თითქმის ყოველი მესამე რეპონდენტი
•მწეველთა უმეტესობა მამაკაცია

•მწეველი რესპონდენტები საკმაოდ აქტიური მწეველები არიან, რადგან მათი უმრავლესობა მოიხმარს დღეში საშუალოდ 1 კოლოფ სიგარეტს.
•ალკოჰოლთან დამოკიდებულება საკმაოდ ტრადიციულია, უმეტესად სასმელს იღებენ იშვიათად და არც ისე იშვიათად, თუმცა სამელის არ მსმელთა რაოდენობა მეტია ახალქალაქში, ვიდრე ახალციხეში.

7. დასაქმება

კვლევის ფარგლებში მოხდა იმის გარკვევა, რამდენად არიან დასაქმებულნი ახალგაზრდები, როგორც მოსალოდნელი იყო, რესპოდენტების უმეტესობა არ მუშაობს

	ახალციხე	ახალქალაქი
დასაქმებულია	18	16
არაა დასაქმებული	47	43

საიდანაც

	ახალციხე	ახალქალაქი
დაქირავებული კერძო, სახელმწიფო ან არასამთავრობო სექტორში სრული განაკვეთით	10	5
თვით დასაქმებული (კერძო ბიზნესი, მეურნეობა)	4	6
დროებით დასაქმებული	8	5

არსებულ მდგომარეობასთან ერთად, მოხდა ახალგაზრდების მიერ მომავალი პერსპექტივის ხედვის კვლევაც. კვლევის ფარგლებში განისაზღვრა დასაქმების რა შესაძლებლობებს ხედავენ ისინი საკუთარ მუნიციპალიტეტში, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ

	ახალციხე	ახალქალაქი
არანაირი	16	7
მცირე	31	12
კარგი	3	10
არ ვიცი	17	28

ახალგაზრდები მათი შემოსავლების გასაზრდელად ხელის შემწყობ ფაქტორებად ასახელებდნენ

	ახალციხე	ახალქალაქი
პროფესიული გადამზადებად	26	7
ბიზნეს უნარ-ჩვევების გამომუშავებას	9	6
ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას	21	10
სესხის ხელმისაწვდომობას	14	4
სოციალური დახმარების გაზრდას	3	15
გაუჭირდა პასუხის გაცემა	17	15



გამოვიკვლიეთ ჰქონდათ თუ არა დამატებითი ცოდნის მიღების სურვილი და რა ფორმით, აღმოჩნდა, რომ ცოდნის მიღების სურვილი

	ახალციხე	ახალქალაქი
აქვს სურვილი	62	38
არ აქვს სურვილი	4	22



გამკითხულთა უმეტესობას ახალციხეში განათლების გაღრმავება სურს მოკლევადიანი ტრენინგებითა და კურსებით, ამას მოყვება უმაღლესი განათლება და გრძლევადიანი პროფესიული განათლება. ახალქალაქში პრიორიტეტი ენიჭება უმაღლესს განათლებასა და პროფ. განათლებას, მას მოჰყვება ტრენინგები და კურსები. რესპოდენტთა გარკვეულ ნაწილს (6-11%) ჯერ არ გადაუწყვეტია მისთვის სასურველი განათლების ფორმა.



დასკვნები

•რესპოდენტების უმრავლესობა არ მუშაობს, რაც აიხსნება, მათი ასაკობრივი ჯგუფის სპეციფიკით. ისინი ძირითადად სწავლობენ.

•ის ვინც დასაქმებულია, უმეტესობა დაქირავებული პირია ახალციხეში და თვითდასაქმებულია ახალქალაქში (ანუ აქვს საკუთარი ბიზნესი/მეურნეობა)

•რესპონდენტები დასაქმების პერსპექტივას ნაკლებად ხედავენ საკუთარ მუნიციპალიტეტში, უმეტესობა თვლის, რომ მცირეა შესაძლობლობა ან საერთოდ არაა, საკმაოდ დიდმა ნაწილმა არ ფლობს ინფორმაციას რა პერსპექტივები არსებობს. რაც ასევე მიუთითებს არსებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მექანიზმების არ არსებობაზე
•ახალგაზრდები მათი დასაქმების ხელშეწყობისათვის პრიორიტეტად მიიჩნევენ ახალციხეში ბიზნეს გარემოს გაუმჯობედებას და შემდეგ მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, ხოლო ახალქალაქის შემთხვევაში ახალგაზრდები სახელმწიფოსგან სოციალურ დახმარებას ელიან და შემდეგ ბიზნესის გარემოს გაუმჯობესებას. აქ ნაკლებადაა აქცენტი კვალიფიკაციის ამაღლებაზე.
•დამატებითი ცოდნის მიღების სურვილი აქვს ახალციხელი რესპონდენტების 85% , მაშინ როდესაც მსურველი/არამსურველის რაოდენობა ახალქალაქში, იყოფა 55/45%.
•ახალციხელები თვლიან, რომ უმაღლეს განათლებსათან ერთად ძალიან მნიშვნელოვანია კონკრეტულ უნარებზე ორიენტირებული ტრენინგებისა და კურსების გავლა. ახალქალაქის შემთხვევაში ორიენტირი მხოლოდ უმაღლეს განათლებაზე, თუმცა რესპოდენტთა უმეტესობა ვერ ჩამოყალიბებულა, რა ტიპის განათლება სჭირდება.

8. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა

კვლევის ფარგლებში შევეცადეთ გამოგვეკვლია, რამდენად აქტიურად არიან ჩართულნი და დაინტერესებულნი ახალგაზრდები საზოგადოებრივი ცხოვრებით.

კითხვაზე, მონაწილეობთ თუ არა საზოგადოებრივ აქტივობებში, შემდეგი პასუხები მივიღეთ:

	ახალციხე	ახალქალაქი
კი	32	9
არა	37	44

ახალციხეში თითქმის თანაბრად განაწილდა დადებითი და უარყოფითი პასუხი, მაშინ, როდესაც ახალქალაქში გამოკითხულებიდან ძალიან მცირე აღმოჩნდა საზოგადოებრივად აქტიური.

კითხვაზე აქტიურები არიან თუ არა ახალგაზრდების თქვენს თემში, პასუხი იყო:

	ახალციხე	ახალქალაქი
კი	33	34
არა	34	26

რითაც თითქმის იგივე პასუხი მივიღეთ ახალციხის შემთხევაში, თუმცა პასუხი ახალქალაქის შემთხვევაში საკმაოდ განსხვავდებოდა წინა კითხვის შედეგისგან.

შევეცადეთ გაგვერკვია, სად სურთ ახალგაზრდებს მომავალში ცხოვრება, რაზეც რესპონდენტთა უმეტესობას ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი (29-ახალციხე, 33-ახალქალაქი), შემდეგი პასუხია საკუთარ ქალაქში (17 - ახალციხე, 6- ახალქალაქი), ამის მიზეზად ასახელებენ, საკუთარი მხარის სიყვარულს და მათთვის საჭირო პირობების არსებობას), ხოლო საკუთრი თემიდან წასვლის მსურველებს, მიზეზად, ცუდი პირობები მოჰყავთ.



კითხვაზე მიიღებენ თუ არა ახალგაზრდულ აქტივობებში მონაწილეობას პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა

	ახალციხე	ახალქალაქი
კი	49	23
არა	10	18

ახალგაზრდების მიერ დასახელებული იქნა თემში გადაწყვეტილების მიღებაში ჩართული ჯგუფები. რომელთა შორის ყველაზე ნაკლებად ჩართულად დასახელდნენ ახაგაზრდები და ხანში შესულები ახალციხეში, მაშინ, როდესაც ახალქალაქში გამოყოფილი იქნა ახალგაზრდები და ქალები.



კითხვაზე, რამდენად შეუძლია ახალგაზრდას თემში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა

	ახალციხე	ახალქალაქი
შეუძლია	31	20
მეტნაკლებად შეუძლია	27	14
არ შეუძლია	2	4
არ ვიცი	7	22

დასკვნები

•ახალციხელი რესპონდენტები მეტად არიან ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვიდრე ახალქალაქელები, თუმცა ახალქალაქელი რესპონდენტების მიხედვით, მათი თანატოლები აქტიურები არიან.
•ახალგაზრდების უმეტესობას არ აქვს გადაწყვეტილი მომავალში სად იცხოვრებს
• შედარებით დიდი ნაწილი თვლის, რომ საკუთარ ქალაქში/სოფელში დარჩება, რადგან უყვარს საკუთარი კუთხე, ან შეიძლება ვერ მოახერხოს ახალ გარემოში დამკვიდრება
•სხვა ქალაქში/ქვეყანაში ცხოვრების სურვილი მხოლოდ ახალციხელმა რესპონდენტებმა გამოთქვეს იმ მიზეზით, რომ სხვაგან უკეთესი სოც.ეკონომიკური პირობებია.
•ახალგაზრდულ აქტივობებში მონაწილეობის მსურველი ახალციხეში უფრო მეტია, ვიდრე ახალქალაქში
•რესპონდენტები თვლიან რომ ახალგაზრდებს შეუძლიათ ან მეტ-ნაკლებად შეუძლიათ თემის მდგომარეობის გაუჯობესება.
•გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდები, ხანშიშესულები და ბავშვები ნაკლებად მონაწილეობენ. ახალგაზრდების პასიურობის მაჩვენებელი უფრო მაღალია ახალქალაქში, ვიდრე ახალციხეში. ახალქალაქში ასევე დაბალია ქალების ჩართულობის მაჩვენებელიც.

9. რა აწუხებთ ახალგაზრდებს

კვლევის ფარგლებში ახალგაზრდებმა დაასახელეს ის პრობლემები რაც მათ და მათ თანატოლებს აწუხებთ

ახალციხელი ახალგაზრდების მიერ დასახელებული პრობლემებია

	პრობლემა	ქულა
1	უმუშევრობა	242
2	გასართობი ადგილების არ ქონა	116
3	სპორტული მოედნების/ფიტნეს კლუბის/აქტივობების არ არსებობა	43
4	ინტერნეტის არ ქონა	27
5	კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობის არ არსებობა	15
6	მაღალი გადასახადები	10
7	გარემოს დაბინძურება	7
8	დაბალი ხელფასი	7
9	ბიბლიოთეკის არ ქონა	6
10	ახალგაზრდული წრეების/კლუბების ნაკლებობა	6
11	გზის არ ქონა	6
12	ინფორმაციის სიმცირე	5
13	ქუჩების სიბინძურე	4
14	ახალგაზრდული აქტივობების სიმცირე	4
15	გამწვანება, სკვერების არ ქონა	4
16	მაღალი ფასები	4
17	სწავლაზე ხელმისაწვდომობა უსახსრობის გამო	4
18	უპატრონო ძაღლები/კატები	4
19	სოც.დახმარების სიმცირე	2
20	წყლის პრობლემა	2
21	საცურაო აუზის არ არსებობა	1

22	განათლების დაბალი დონე	1
23	ახალგაზრდების სიზარმაცე/პასიურობა	1
24	მაღალ პროცენტიანი სესხები	1
25	სამედიც. მომსახურების ხელმიუწვდომლობა	1

ახალქალაქელი ახალგაზრდების პრობლემებია

პრობლემა	ქულა
უმუშევრობა	184
ცუდი საცხოვრებელი პირობები	48
განათლების დაბალი დონე	31
ბიბლიოთეკის არ ქონა	24
ინტერნეტის არ ქონა	22
სპორტული მოედნების არ ქონა	21
ახალგაზრდების სიზარმაცე	16
გასართობი ადგილების არ ქონა	16
სოფლის მეურნეობის განუვითარებლობა	16
სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე	14
საბავშვო ბაღი	11
განათლების მიღების მიმართ დაბალი ინტერესი	8
ინფორმაციის სიმცირე	6
საგანმანათლებლო დაწესებულების სიმცირე	3

<u>დასკვნები</u>

• ახალგაზრდები ძირითადად ასახელებენ სოციალური და ეკონომიკური ხასიათის პრობლემებს, ნაკლებადაა და თითქმის არაა ჩამონათვალში სამართლებრივი, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული და სხვა პრობლემები

• ორივე მუნიციპალიტეტში პრიორიტეტები ძირითადად დაკავშირებულია ახალგაზრდების მიერ კვალიფიკაციის/განათლების მიღებას ხელმისაწვდომობასა და შესაძლებლობების რეალიზაციასთან, რაც მეორეს მხრივ მათი აზრით ეკონომიკურ მდგომარეობის გაუმჯობესების საწინდარია

•ახალციხესა და ახალქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდებს ერთმანეთისაგან განასხვავებს სახელმწიფო ენის ცოდნის საკითხი

• ორივე მუნიციპალიტეტის რესპონდენტთათვის პრობლემას წარმოადგენს ახალგაზრდების განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის არ არსებობა

• ახალციხელი რესპონდენტები განსაკუთრებით გამოყოფენ ახალგაზრდული აქტივობების/კლუბების/წრეების ნაკლებობას, თუმცა ორივე შემთხვევაში ხაზგასმულია ახალგაზრდების ინტერტულობა/პასიურობა/განათლების მიღებისადმი დაბალი ინტერესი (ახალქალაქის შემთხვევაში)

•ბიბლიოთეკების არ არსებობის შესახებ ნახსენებია ორივე მუნიციპალიტეტის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ ამაზე აქცენტს აკეთებს რესპოდენტთა ის ნაწილი, რომელიც ცხოვრობს სოფლად.

•ახალციხის შემთხვევაში თავი იჩინა ეკოლოგიურმა პრობლემებმაც (გარემოს დაბინძურება, მაწანწალა ცხოველები, გამწვანება)

•ახალქალაქის რესპონდენტები საუბრობენ სოფლის მეურნეობის განუვითარებლობის პრობლემაზე, რაც შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ ამ მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართულნი სასოფლო-სამეურნეო აქტივობებში (რა ასევე გამოჩნდა ჩვენს კვლევაშიც) და მათ ეს პრობლემა რეალურად აწუხებთ.